პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო ცაკის სესია თბილისში!

# საქართველოს მშრომელ ხალხს!

ამხანაგებო! საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მორიგი მესამე სესია ჩვენ დედაქალაქ თბილისში გახსნა მიმდინარე წლის სამ მარტს.

მშრომელი თბილისი და საბჭოთა მოსამსახურენი საკავშირო ცაკის წევრების შესახვედრათ ქუჩაზე ძალით გამოყვანილნი, თქმა არ უნდა „დიდი ზეიმით" შეხვდებოდენ მათ.

ვინც რუსთველის გამზირზე ჩამწკრივებულ ხალხის სახეებს დააკვირდებოდა, მას მყისვე თვალში ის უსაზღვრო სევდა ეცემოდა, რომელიც ნაძალადევ სიცილში გამოხვეული თვითეული მშრომელის სახეზე მეტყველებდა.

მაგრამ ამას ვინ დაგიდევს ან რად დაგიდევს!

იციან ქართველი ხალხის სისხლის მსმელებმა წითელმა მოსკუტარებმა და მათმა ჩვენებურმა ბატონის წინ ენაჩავარდნილმა დამქაშებმა, რომ საქართველოში რუსის ხიშტი „აღმართის მხვნელია" და ნაცადი გზით განაგრძობენ სვლას.

ყოველნაირ ქებას და ხოტბას რომელი წრიდანაც არ უნდა იყოს იგი მოსული, ჟონგლიორები სიხარულით იღებენ.

სრულიად სომეხთა კათალიკოსის, კევორკის მისალმება სიხარულის ჟრუანტელს გვრის იმ ხალხს, რომელიც ყოველნაირ სარწმუნოებრივის და ცრუმორწმუნოების სასტიკ მოწინააღმდეგედ გვევლინებიან.

მაგრამ საქმეში ჩახედულ ადამიანისთვის უცნაური და საკვირველი აქ არაფერია.

ჩვენ დიდი ხანია შევნიშნეთ, რომ ყოველნაირი ტირანია სარწმუნოების ნიშანდობლივ თვისებაზეა დამყარებული და რუსული მუჟიკური „კომუნიზმი", როგორც ტირანიის უსასტიკესი ფორმა დიდი ხანია გახვეულია სარწმუნოებრივი ფანატიზმის მძლავრ არტახებში.

ამხანაგებო! საგულისხმო მოვლენაა თბილისში სესიის გახსნა.

ვინ არ იცის, რომ ეს ჩვენი მშრომელი ხალხის მოსატყუებლად მოაწყვეს მოსკუტარებმა.

საქართველოში მომხდარი აგვისტოს აჯანყების მძლავრი ხმა მძლავრად გაისმა კიდით-კიდემდე.

ტირანების საერთაშორისო მდგომარეობაზე ამან ცუდათ იმოქმედა. მთელი ქვეყნის გათვითცნობიერებული მუშათა კლასის თანაგრძნობის სასწორი აჯანყებაში დამარცხებულ ქართველი მშრომელისაკენ გადაიხარა.

მშრომელი ხალხის თვალში კომუნისტების ისედაც გატეხილი სახელი უფრო დაეცა და ყველას წინ მკაფიოდ გადაიშალა ტირანების ვერაგული და ბარბაროსული ქცევა წვრილი ერებისადმი.

ტირანები ამ მთაბეჭდილების ოდნავ მაინც შესამსუბუქებლად საქართველოს დედაქალაქ თბილისში (ოკუპანტები დღეს მას უკვე ამიერ-კავკასიის სატახტო ქალაქს ეძახიან) ხსნიან სესიას.

მაგრამ წყალ წაღებულს ხავსი აბა რას უშველის. დღეს ჩვენ არსად გვეგულება ისეთი ბრმა, რომელიც ვერ ხედავდეს კომუნისტების „ველიკოდერჟავნულ" პოლიტიკას საერთოდ პატარა ერების მიმართ და კერძოთ საქარ-სადმი.

მერე და სესიის თბილისში გათამაშებას რაიმე არსებითი მნიშვნელობა აქვს?

სესიის წევრები ხომ ის მასრებია, რომელშიაც გადის ხმა უფალ ზინოვიევ—სტალინ—ჯუღაშვილისა.

ისინი ხომ ენაჩავარდნილი მანეკენებია ამ ტრიუმვირატის წინაშე!

მაშ რათ დასჭირდათ, ამხანაგებო, თბილისში ასეთი ფარსის გათამაშება?

მხოლოდ სინამდვილის დასამალავად, სიმართლის მისაფუჩეჩებლად.

იციან ოკუპანტებმა ტყუილს რომ მოკლე ფეხები აბია, მაგრამ სირაქლემას პოლიტიკას დიდი გასავალი აქვს მათ შორის.

ისინიც მგზავსად ამფრთოსანისა სიდიდით გახრწნილ გამოლაყებულ თავს სიცრუის მორევში მალავენ და ისე ეჩვენებათ თითქოს მათაც ვერ ხედავს განაწამები ქართველი ხალხი.

მაგრამ ქართველი ხალხი არა თუ ხედავს მათ მტარვალობას და სიცრუეს არამედ განიცდის კიდეც და ეს განცდა მანამ დარჩება წარუხოცელი მის გულში, სანამ ტირანების სინსილა საქართველოში ძირ-ბუდიანათ ამოგდებული არ იქნება.

სესიაზედ რიკოვ—კალინინიდან მოყოლებული თითქმის ყველა წევრები იმეორებდენ, რომ საბჭოთა კავშირი აგებულია ერთა თვითგამორკვევის პრინ-ზე.

„ჩვენი არსებობის საფუძვლათ, აცხადებს მათ შორის ყველაზე უფრო შემპარავი და მლიქვნელი კალინინი, ეროვნებათა თვითგამორკვევაა აღიარებული.

ასე ლაპარაკობენ ისინი. ამაში არწმუნებენ ხალხს. თუმცა მათ სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია გავლებული.

ამხანაგებო! კომუნისტები საქართველოში—თვით არ მალავენ—რუსის ხიშტის მეობებით შემოიჭრენ.

რამდენჯერ განუცხადებია ეს მოსკოვის ყურმოჭრილ მონას, ბოხი ხმით მყეფარე ფინია—ორჯონიკიძეს.

დღესაც ძალიან კარგად უწყიან მტარვალებმა, რომ გარდა ოროოდე ლაჩარ და ზნედაცემული ქართველისა, მათ ზიზღით და მტრულათ იხსენიებს საქართველოს დემოკრატია.

... საქართველოს განთავისუფლების ... ხალხის წინააღმდეგ ...
უსირცხვილოდ იმეორებენ: ჩვენ თვითგამორკვევის პრინციპს ვეყრდნობით ...
გრიბოედოვის ერთი გმირის არ იყოს „იტყუეთ, მაგრამ ზომ... იცოდეთ, ჯალათებო!

რომელ თვითგამორკვევაზედ ან ოდნავ თავისუფლებაზედ შეიძლება ... რა იქ, საცა ყველა ქეშმარიტ მოქალაქეს ენა მუცელში აქვს ჩავარდნილი ... ვერ ბედავს ვერაფრის თქმას, რადგან კარგათ იცის, რომ ტირანებს თუ ხელში ... პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჩაუვარდა მას ან სიკვდილი მოელის, ან ჩეკა ... იქნება მისი სამუდამო ბინა.

მაგრამ ენა ხომ ღმერთს ჯალათებისთვის მიტომ მიუცია, რომ მუდამ სიყალბე ილაპარაკონ.

საქართველოს მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია ჰყავსო —აცხადებენ ... კოვები. საჭიროა მათ საქართველოს გარეშე გაუჩინოთ სასახური, რათა აქ უმუშევრობა შევამციროთო.

ასე სწყვეტენ ვერაგები საქართველოს ბედს. ასე ეპყრობიან ისინი ქართველ ინტელიგენციას მაშინ, როცა ყველა წარმოება-დაწესებულებები ჩვენი ... უცხო, გადამთიელი ელემენტებითაა ავსებულიდა ჩვენს ინტელიგენციას კი მა... თლაც ლუკმა პური უჭირს. მაგრამ, ამხანაგებო, აქ დიდი ჭკუის გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ კაცმა ცარიზმის პოლიტიკის მაგვარი ხრიკები დაინახოს. ნიკოლოზიც ხომ ცდილობდა ქართველისთვის სამსახური არა საქართველოში, არამედ რუსეთის რომელიმე ისეთ კუთხეში მიეცა. საიდანაც გოგოლის „სკვოზნიკ-დმუხანოვსკის არ იყოს“ სამი წელი რომ გარბენა ვერც ერთ სახელმწიფომდე ვერ მიხტებოდი“. ამით ცდილობდა მონარქიზმი დაექსაქსა ის ძალა ..., მელიც თუ საქართველოში მოიკალათებდა თავს, რუსეთის საქმიანობას ჩვენში ხეირს არ დააყრიდა.

ამგვარ აღ გვეპყრობა დღეს ჩვენ ის ხალხი, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ქურქში გამოხვეული ნამდვილ დიდი რუსეთის საქმეს აკეთებენ.

მონარქისტებთან ტირანების მსგავსება არსებითშია-განსხვავება სახელწოდებაში.

„კაპიტალიზმის განუვითარებლობა ჩვენ დიდ ტკივილებს გვაყენებს“ — აცხადებს მამია ორახელაშვილი თავის კაზიონურ მოხსენებაში.

თითქოს დღეს შეიგნო ეს. თითქოს დღეს გაახილა თვალები და ამიერკავკასიის სოც-რი სინამდვილე დაინახა. ამიერკავკასიის სოციალისტური მეურნეობა უნდა შევქმნათ და კაპიტალისტური არაა განვითარებულიო. მერე და აქამდე სად იყვენ?

გაიხსენონ ამ ვითომდა-მარქსისტებმა, რომ სოციალისტური მეურნეობის დამყნა და დამკვიდრება, მხოლოდ ისეთ ქვეყნებში შეიძლება, საცა კაპიტალისტური მეურნეობა თავის განვითარების მწვერვალსაა მიღწეული.

თუ ეს პირობა მზათ არ იქნება, მაშინ ყველას მცარცველების მაგვარი ბედი ეწევა.

მიიღებენ კომუნიზმის ნაცვლად კაპიტალიზმის ყველაზე უფრო მახინჯ ფორმას, რუსული ბუნების სახელმწიფო კაპიტალიზმს, რაც წვრილი ბურჟუაზიული მეურნეობაა ის სხვილი კაპიტალისტური მეურნეობის დაცემის და განადგურების ხარჯზე ვითარდება.

დღეს „შავათ“ ეს თვით კომუნისტებმაც შეიგნეს. ამიტომაა რომ ისინი ასე გულმოდგინეთ ახდენენ ძველი წმინდა რუსული ურთიერთობის რესტავრაციას.

ამხანაგებო! ცაკის სესიამ თითქოს ამნისტია უწყალობა ქართ. ხალხს.

ვინც ამნისტიის ტექსტს კარგად გაეცნობა, მისთვის ცხადი იქნება რომ ამნისტია უმთავრესად სისხლის სამართლის დამნაშავეებზედ ვრცელდება.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს კი კვლავ ჩეკის ცხრა-კლიტულში ჯდომა უხდებათ ამნისტია მათზე არ ვრცელდება.

ამიტომ ყველამ კარგათ იცის, რომ ცაკის ამნისტია მხოლოდ ფიქციაა ჩვენი ხალხის თვალის ასახვევად გამოცხადებული. ნამდვილად კი ქართველი ხალხისადმი მათ მიერ ძველებური პოლიტიკის წარმოება თუნდაც იმ ფაქტით მტკიცდება, რომ მაშინ როცა რუსეთში ჩეკა გ. პ. უ-თ შეცვალეს ჩვენში ჩეკის მოღვაწეობის ასპარეზს უფრო და უფრო აფართოებენ.

ასე უფერულად დასრულდა საკავშირო ცაკის მესამე სესია.

მან ქართველ ხალხს ბევრჯელ დადასტურებული ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დაუდასტურა;

რომ ოკუპაცია ქმნილი საქართველო რუსეთის საწველფურადაა ქცეული. კომუნისტების საქმიანობა ჩვენში ქართველი დემოკრატიის უმწიკვლო მიზნების შებღალვა და მათი პოლიტიკა ქართველების განადგურებისაკენაა მიმართული.

ამიტომ განაგრძობს ქართველი ხალხი ბრძოლას მათთან ძველი ნაცადი გზით.

ამიტომაა იგი შეურიგებელი მუხანათურად შემოჭრილ მტერთან. ქართველმა დემოკრატიამ იცის, რომ მისი მოქმედება შეგნებული გამოხატულებაა საქართველოს განთავისუფლების ობიექტიური პროცესის და ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს მასში დასახული მიზნის განხორციელების წყურვილს.

მან კარგად იცის, რომ თხუნელა მაინც გასათხრელს გასთხრის და ქართველ ხალხს „სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“.

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

**ძირს დამპყრობელები!**
**ძირს მოსკოვის ტირანია!**
**გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!**
**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

1925წ.

საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის საორგანიზაციო

კომიტეტი.